# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 მარტი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 54 (10 223) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ნინო გურიელი საუკეთესო იყო



ნინო გურიელი.

**მოჭადრაკეთა** ტრადიციული და ავტორიტეტული საერთაშორისო შეჯიბრებების სიაში ბელგრადის ტურნირიც შედის, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს ეძღვნება. ამჯერად მონაწილეობდნენ მასში ნ. გურიელი, ქ. არახამია და ბაქოელი ა. სოფიევა. უძლიერეს მოჭადრაკეთა პაექრობაში ნ. გურიელმა, იუგოსლაველმა ნ. ბოიკოვიჩმა და ბულგარელმა მ. ვისკამ 7-7 ქულა დააგროვეს. მაღალი კოეფიციენტით გამარჯვება მიეკუთვნა ნინო გურიელს. ბოიკოვიჩი მეორე ადგილზე გავიდა, ვისკა — მესამეზე.

## ოთხნი — ნაკრებში

ათლეტიზმი

**შარშან** საქართველოს ნაკრები ქვეყნის ჩემპიონი გახდა ათლეტიზმის ერთ-ერთ სახეობაში — ძალისმიერ სამჭიდში. წლევანდელ, რიგით მეორე ჩემპიონატისათვის კი ჩვენი გუნდი მზად არ იყო საპატიო ტიტულის შესანარჩუნებლად. სხვათა შორის, ამის შესახებ წინასწარ განაცხადა „ლელოს" ფურცლებზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ზაზა ჯაფარიძემ. ვარაუდი გამართლდა — გუნდი მეხუთე ადგილზე გავიდა და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

მიუხედავად ამისა, ქართველმა ათლეტებმა უკრაინის ქალაქ ჩერკასის ფიცარნაგზე ქვეყნის მეორე ჩემპიონატის დღეებში 6 საკავშირო რეკორდი დაამყარეს, ხოლო 4 სპორტსმენმა ჩემპიონობა მოიპოვა.

ჩემპიონები და რეკორდსმენები გახდნენ: მამუკა შენგელია — 56 კგ (ამოწევა 220 კგ), დავით მერაბიშვილი — 67,5 კგ. (წოლჭიმი — 170,5 და 175,5 კგ), რობერტ არაქელოვი — 125 კგ (ბჯენი — 340 კგ), შოთა ბექაშვილი — 125 კგ (წოლჭიმი — 270 კგ და სამჭიდის ჯამი — 915 კგ). ყველანი სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ათლეტური კლუბის „ამირანის" წევრია.

ცხადია, ნაკრებს რომ მზადებისათვის უკეთესი პირობები ჰქონოდა, წარმატება უფრო დიდი იქნებოდა. ეს ამბავი სპეციალისტებმაც აღნიშნეს ერთხმად.

როგორც ლენინგრადიდან, ათლეტიზმის საკავშირო ფედერაციის შტაბბინიდან, გვაცნობეს, ზემოაღნიშნული ათლეტები ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს. წელს მათ სამი საერთაშორისო ტურნირი ელით: სსრ კავშირი-აშშ-ის მატჩი (ივლისი, მოსკოვი), „ბალტიკის თასის" გათამაშება (სექტემბერი, ლენინგრადი) და მსოფლიოს ჩემპიონატი (ნოემბერი, ამსტერდამი).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ქართველ ათლეტთა სპონსორია აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი (თავმჯდომარე — რობერტ ურჯუმელაშვილი).

### საკორესპონდენტო პუნქტი რუსთავში

**დღეიდან,** 22 მარტიდან, რუსთავში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობას იწყებს „ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტი. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია რუსთავის სპორტკომიტეტმა.

ახალი საკორესპონდენტო პუნქტის მისამართია: რუსთავი, ცენტრალური სტადიონი, სპორტკლუბი „ფოლადი". კორესპონდენტია აკაკი ყანდიაშვილი. ტელ. 14-17-42.

## რეზერვების სამჭედლო

**სახელოვანი** ქართველი ფალავნის ანზორ კიკნაძის სახელობის მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირმა, დღიდან დაფუძნებისა (1986 წელი), ბევრ პერსპექტიულ ახალგაზრდას დაულოცა გზა დიდ სპორტში. აქ გამარჯვებულმა მოჭიდავეებმა უკვე დაიმკვიდრეს ადგილი ქვეყნის უძლიერეს ძიუდოისტთა შორის.

საქართველოს ძიუდოისტთა წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი და სასიხარულოა, რომ რეზერვიც საკმაოდ იმედის მომცემი გვყავს. ამას მოწმობს ადრე ჩატარებული ოთხი ტურნირის შედეგები.

წლევანდელ, რიგით მეხუთე ასპარეზობაში, რომელიც 23-25 მარტს გაიმართება თბილისის სპორტის სასახლეში, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ათლეტთა გარდა სავარაუდოა იაპონიის, თურქეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, ბულგარეთის, გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის და უნგრეთის მოჭიდავეთა გამოსვლა.

დაინტერესებულ მკითხველს რომ მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ, უკვე ჩატარებულ ოთხ ტურნირზე გავახსენებთ მათ შედეგებს.

### 1986 წელი

პირველ ტურნირში საქართველოს მოსწავლეებმა ოქროს 4, ვერცხლის ამდენივე და ბრინჯაოს 6 მედალი დაისაკუთრეს. უცხოელ ათლეტთაგან ტურნირის ჩემპიონი არავინ გამხდარა. სხვა სამი უმაღლესი ჯილდო საბჭოთა კავშირის ნაკრების ძიუდოისტებს დარჩათ. აი, ჩემპიონთა სიაც:

53 კგ. ვ. დრაჩკო (სსრ კავშირი)
57 კგ. ვ. კოსტროვცევი (სსრ კავშირი)
62 კგ. ვ. დგებუაძე (საქართველო)
68 კგ. ზ. ონიანი (საქართველო)
75 კგ. ო. რატიანი (საქართველო
83 კგ. დ. ბაგაური (საქართველო)
+83 კგ. გ. შადიევი (სსრ კავშირი)

### 1987 წელი

ამ წელსაც გუნდური უპირატესობა საქართველოს მოჭიდავეთა მხარეს იყო, რომლებმაც ოქროს 4, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 6 მედალი მოიპოვეს. ამჯერადაც, ისევე როგორც წინა წელს, სამი პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებს ხვდათ. ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ:

53 კგ. ნ. ოჟოგინი (სსრ კავშირი)
57 კგ. გ. ადიბეკოვი (საქართველო)
62 კგ. ტ. მუხტაფინი (სსრ კავშირი)
68 კგ. ვ. დგებუაძე (საქართველო)
75 კგ. ი. ვანტაევი (სსრ კავშირი)
83 კგ. ვ. ავალიანი (საქართველო)
+83 კგ. დ. ხახალეიშვილი (საქართველო).

### 1988 წელი

პირველობა გათამაშდა ცხრა წონით კატეგორიაში, ცხადია, შესაბამისად გაიზარდა პრიზიორთა რაოდენობაც. საქართველოს ძიუდოისტებმა მოიპოვეს ოქროს 5, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 8 მედალი. საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამჯერადაც სამი პირველი ადგილი ხვდა. ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ:

49 კგ. დ. ბოლშაკოვი (სსრ კავშირი)
53 კგ. გ. ჩერნუხინი (სსრ კავშირი)
57 კგ. ა. ჩოხელი (საქართველო)
62 კგ. ს. გორლოვი (სსრ კავშირი)
68 კგ. გ. კირაკოზაშვილი (საქართველო)
75 კგ. ვ. ომარაშვილი (საქართველო)
83 კგ. გ. გაჩეჩილაძე (საქართველო)
90 კგ. გ. უვაროვი (სსრ კავშირი)
+90 კგ. დ. ხახალეიშვილი (საქართველო).

### 1989 წელი

ბოლო ტურნირის შედეგებზე, მკითხველებს, გასაგები მიზეზებით უფრო დაწვრილებით ინფორმაციას მივაწვდით, მაგრამ წინასწარ ვიტყვით, რომ საქართველოს ძიუდოისტებმა 36 საპრიზო ადგილიდან დაისაკუთრეს 24. შეჯიბრების ყველა დანარჩენ მონაწილეს 12 სხვადასხვა ღირსების მედალი ხვდა. სანამ სხვა ცნობებსაც მოგაწვდიდეთ, ჯერ პრიზიორთა ვინაობა გავიხსენოთ:

**49 კგ.** 1. კახა ლუზარაული (ახმეტა), 2. ვარდან ვოსკანიანი (ერევანი), 3. შალვა დორეული და მუვლუდ მელაძე (ორივე — თბილისი).

**53 კგ.** 1. გიორგი გაზაგაშვილი (გორი), 2. ზვიად დემეტრაშვილი (თბილისი), 3. თემურ როსტიაშვილი (საგარეჯო) და სებასტიან ჰემპელი (გდრ).

**57 კგ.** 1. მამუკა აბრამიშვილი (ახმეტა), 2. რამაზ ზედგენიძე (რუსთავი), 3. ბექა წარიმანაშვილი (თბილისი) და შტეფან ვალი (გდრ).

**62 კგ.** 1. ბაირამ ჰუსეინოვი (ბაქო), 2. მაქსიმ ნოვოლოცკი (კურსკი), 3. ზაზა იმერლიშვილი (ქარელი) და ალექსანდრ ვოიტენკო (ალმა-ათა).

**68 კგ.** 1. ალექსანდრე ლვინიაშვილი (თბილისი), 2. ურუსხან ევლოევი (მინსკი), 3. კახა ბერუაშვილი (თბილისი) და ალექსანდრ ...ლოევი (ორჯონიკიძე).



ემზადებიან...

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## მობრძანდით ბაზაზე...

**საქართველოს** ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატისთვის სამზადისის პროგრამით თბილისის „იბერია" (ყოფილი „დინამო", სხვათა შორის, გუნდის ახალი სახელი საბოლოოდ ჯერ კიდევ დადგენილი არაა) მიწვევით იმყოფებოდა განჯაში, სადაც ამხანაგური საქველმოქმედო თამაში გამართა მეორე ლიგის გუნდთან, ადგილობრივ „ქიაფაზთან". მატჩის შემოსავალი ორად გაიყო და გადაეცა საქართველოში 9 აპრილსა და აზერბაიჯანში 20 იანვარს მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ფონდს.

თამაში მოიგეს თბილისელმა ფეხბურთელებმა — 3:1. ბურთები გაიტანეს ქეცბაიამ, რევიშვილმა და ცაავამ, ხოლო საპასუხო მიიღეს 11-მეტრიანი დარტყმით. მატჩი იმსაჯა ადგილობრივ არბიტრთა ბრიგადამ.

თბილისელებმა თამაში ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ზაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჩიქოვანი, რევიშვილი, ნემსაძე, გოგიჩაიშვილი, ცაავა, კაჭარავა, ქეცბაია.

თბილისის „დინამოს" კლუბის ხელმძღვანელობა თავის წევრებს და კლუბში გაერთიანების მსურველებს იწვევს დიღმის ბაზაზე ყოველდღე 10-დან 15 საათამდე საბუთების გასაფორმებლად.

ლვოვის „კარპატიმ" ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად თავის ქალაქში მიიწვია თბილისელთა გუნდი. ეს მატჩი 24 მარტს შედგება, მისი შემოსავალი აგრეთვე საქველმოქმედო მიზანს მოხმარდება.

## საქართველოს საფეხბურთო კლუბების საყურადღებოდ!

გთხოვთ, ნუ გამოიყენებთ კლუბების ფორმაში ეროვნული დროშის ფერების კომბინაციას (შავი-თეთრი-შინდისფერი). ისინი მხოლოდ ეროვნული ნაკრების ფერებია.

საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი.

## ისევ კახეთის გუნდის შესახებ

**მას შემდეგ,** რაც „ლელოში" გამოქვეყნდა ახალშექმნილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმ გუნდების სია, რომლებიც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს მიიღებენ მონაწილეობას, რედაქციაში უამრავი წერილი შემოდის. ფეხბურთის მოყვარულთა სურვილია, რომ გათამაშებაში დაუშვან კახეთის თუნდაც ერთი გუნდი.

მკითხველთა საერთო პოზიციის გამომხატველი მასალა ადრე დავბეჭდეთ. ცხადია, ფეხბურთის ფედერაციას განზრახ არ გამოუტოვებია კახეთის ზონა. ამოსავალი გახლდათ შარშანდელ საქართველოს პირველობაში გუნდების მიერ დაკავებული ადგილები.

მკითხველს მადლობას მოვახსენებთ აქტიური პოზიციისთვის, ამასთან, გთხოვთ ყველას, თქვენი წინადადებები და შენიშვნები ამ თემაზე გამოგზავნოთ მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციაში (ი. ჭავჭავაძის, 49-ა).

„ლელოს" კრიტიკული გამოსვლების შემდეგ

## დიდ დიღომში

18 მარტს ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა რეპლიკა სათაურით „იმედია, მისამართი გახსოვთ, ანუ დიდი დიღომი, 187-ე საშუალო სკოლა", პუბლიკაციაში გაკრიტიკდნენ მშენებლები, რომელთა ნახელავი, მათ შორის საცურაო აუზი, გასახდელები და საშხაპეები, მალე გამოვიდა მწყობრიდან, გასკდა გათბობის მილები და ა. შ. მშენებლებს, დამკვეთს, ტექნიკურ ზედამხედველ ორგანიზაციას, ყველას, ვინც სკოლის მშენებლობა-კეთილმოწყობაზე მუშაობდა, პედკოლექტივისა და მოსახლეობის მოთხოვნით მივმართეთ მობრძანებულიყვნენ ამ სკოლაში 19 მარტს 16 საათზე. მოვიდნენ თბილქალაქმშენის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის, რაიაღმასკომის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, ქალაქის განათლების სამმართველოს, მიკრორაიონის საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები. რაღა თქმა უნდა, დათქმულ დროს რედაქციის წარმომადგენელიც მივიდა სკოლაში.

გვინდა მშენებელთა სახახელოდ („თბილქალაქმშენი", უფროსი ი. ქევხიშვილი) ვთქვათ, რომ ისინი ჩვენი პუბლიკაციის მეორე დღესვე შედგომიან საქმეს და 19 მარტისთვის ყველა სამუშაო თითქმის დასასრულს იყო მიახლოებული. მადლობა მათ ასეთი გულისხმიერებისა და ოპერატიულობისთვის. მეორე შეხვედრა 20 მარტს შედგა 186-ე საშუალო სკოლაში. აქ უნდა განხილულიყო „ლელოს" 18 მარტის ნომერში გამოქვეყნებული წერილი, რომელიც დიდ დიღომში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობასთან დაკავშირებით მოზარდი სპორტსმენების მშობელთა და მოსახლეობის პრეტენზიებს შეეხებოდა. შეხვედრის ორგანიზაცია რედაქციასთან ერთად ითავა სახალხო ფრონტის რეგიონალურმა ჯგუფმა (რწმუნებული სოსო თოდუა).

შეხვედრაზე მოვიდნენ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების, ავტოსაწარმოების, მიკრორაიონის საბჭოს ხელმძღვანელები, №214 და №215 ავტობუსების მძღოლები.

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების განყოფილების უფროსმა ა. ბენდუქიძემ მოსახლეობას აღუთქვა, რომ №214 ექსპრესი 22 საათის შემდეგაც იმუშავებს. დიდი დიღმის მიმართულებით ბოლო ავტობუსი გავა 24 საათზე. ამ ცნობას მოწონებით შეხვდნენ მცხოვრებლები. ითქვა, აგრეთვე, რომ საბოლოოდ დადგინდება ექსპრესის სვლაგეზი და გაჩერებები, განიხილავენ მეტრო „დ. გურამიშვილისა" და საბურთალოს მიმართულებით ჩვეულებრივი ავტობუსის ახალი მარშრუტის გახსნის შესაძლებლობების საკითხს. შეკრებილთ ესაუბრა აგრეთვე ექსპრესების ავტოსაწარმოს უფროსი დ. სიხარულიძე, მძღოლებმა კი გამოთქვეს კონკრეტული წინადადებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა წაქაძის „ჰოროსკოპი“...

**ტისოვეცში** მცხოვრები საქართველოს დელეგაციის წევრები — სპორტსმენები, მწვრთნელები, სპეციალისტები — თავდაპირველად დაგვაღონეს ჩვენმა მხტომელებმა სასპარტაკიადო 70-მეტრიან ტრამპლინზე გამოსვლის შედეგების გამო. მართლაც და კახა წაქაძისათვის „დაგეგმილ“ პირველ ხუთეულში მოხვედრა და მაქსიმუმ „რაიმე მედალი“ კი არა და... ჩვენი ლიდერი პირველ დღეს მხოლოდ მეთერთმეტე იყო.

— **სპარტაკიადაზე** ჩამოსვლა კახასთვის უფრო გადავწყვიტე, მაგრამ გამოგიტყდებით, მისგან ასეთ გამოსვლას არ ველოდი. ეს მართლაც არ იყო „პატარა კობას“ სტილი და ხელწერა, მისი ჩვეული „ბაკურიანული ნახტომები“. — შემოგვჩივლა სპარტაკიადის საპატიო სტუმარმა, ცნობილმა ლენინგრადელმა სპეციალისტმა, 80 წლის პაველ დემენტიევმა, რომელიც, როგორც ცნობილია, კობა წაქაძის მწვრთნელი იყო წლების მანძილზე და კახასაც არ აკლებდა ზრუნვა-დარიგებას.

თავად კახა, რა თქმა უნდა, ძალზე განიცდიდა წარუმატებლობას, თვალს ვერ გვისწორებდა თავისიანებს. მეორე დღეს 90-მეტრიანი ტრამპლინი ელოდა. საღამო ჟამი იყო. შევატყე, რაღაცის თქმა უნდოდა, ბოლოს გაბედა მორცხვად:

— ოცდაორი, ოცდასამი და ოცდაოთხი ჩემთვის მუდამ ცუდი დღეებია. აი, ოცდახუთი და მომდევნო ორი დღე კარგად მაქვს დაცდილი. საკუთარი „ჰოროსკოპი“ მაქვს. ვნახოთ? შეჯიბრება ხომ ჯერ არ დამთავრებულა!

სასინჯი ხტომებისას 42 მონაწილიდან კახაზე უკეთესი შედეგი ბარე სამ ათეულს ჰქონდა. როგორც ჩანდა, უმცროსი წაქაძის „ჰოროსკოპში“ რაღაც აირია...

— მაინც მგონია, რომ ჩასათვლელ ხტომებს კახა კარგად ჩაატარებს, მებრძოლი ბიჭია! — ერთობ ოპტიმისტურად გადაგვილაპარაკა გვერდით მდგომმა ანზორ სანაკოევმა, რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ზამთრის სახეობებში.

დაიწყო პირველი ჩასათვლელი სერია: მინსკელმა სერგეი ჩუმაკმა 105 მეტრზე იფრინა, სვერდლოვსკელმა იური დუდარევმა — 101, გორკელმა ალექსანდრ შიპოვნიკოვმა — 107, ლენინოგორსკელმა რადიკ გალიევმა — 105,5, სპარტაიადის ახალმა ჩემპიონმა 70-მეტრიან ტრამპლინზე, ალმაათელმა დიონის ვოდნევმა — 106,5.

ჯერი კახა წაქაძეზე მიდგა. საკმაოდ კარგი ნახტომი გამოუვიდა — 102 მეტრი. ეს მთელი 22 მეტრით უკეთესი იყო თავის სასინჯ ნახტომზე. მეხუთე შედეგი გახლდათ. შეიძლება ბრძოლა...

— მეორე ნახტომიც ასეთი რომ გამოდგეს, იქნებ მეხუთე ადგილი მაინც „წავიღოთ“ სახლში — წელში გაიმართა ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბეჟან ქუმარიტაშვილი.

მაგრამ... ასე როდი ფიქრობდა კახა. გახსოვთ „ჰოროსკოპი“?

ყველაფერი მეორე ნახტომს უნდა გადაეწყვიტა. უფროსი წაქაძე კარგა ხანს არიგებდა კახას. მერე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გარი ნაპალკოვმაც ორიოდე სიტყვა „შეაწია“ ჩვენს მხტომელს, ბოლოს პაველ დემენტიევმაც ურჩია რაღაც.

...ტისოვეცის დიდი ტრამპლინის ზემო ბაქნიდან ცისფერკომბინიზონიანი მხტომელი დაეშვა: „ნომერი ოცდაათი. კახა წაქაძე. ბაკურიანი. საქართველო!“ — გამოაცხადა დიქტორმა. ჩვენი ლიდერი სწრაფად უახლოვდებოდა ასარეკნ ბაქანს. ძლიერი არეკნი და... კარგა დიდხანს „გაჰქონდა“ ჰაერში პრიალა „ატომიკები“. ვინ რა, და მე იმ მომენტში ბაკურიანის დიდი ტრამპლინის რეკორდსმენის, პერმელი სერგეი ზონტოვის ის „ოქროს“ ნახტომი (115,5 მეტრზე) გამახსენდა, საერთაშორისო შეჯიბრებაზე რომ გააკეთა კოხტა გორიდან. ასევე იყო მაშინაც — დიდხანს მიფრინავდა მხტომელი, თხილამურები თითქოს სულაც არ აპირებდნენ თოვლზე შეხებას.

— 108,5 მეტრი! — რეპროდუქტორის აღტაცებული ხმა მხურვალე აპლოდისმენტებმა დაფარა. ასე შორს ამ დღეს ვერავინ იფრინა. კ. წაქაძის მთავარი მეტოქე ს. ჩუმაკი მეორე ცდაზე ნახევარი მეტრით ჩამორჩა, მაგრამ მაინც როგორც კახამ, მან 223 ქულა მოაგროვა.

...VII სპარტაკიადის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ერთდროულად ორი ჩემპიონი იდგა — 20 წლის ბელორუსი მხტომელი სერგეი ჩუმაკი და 21 წლის ქართველი კახა წაქაძე — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, ბაკურიანელი დინამოელი (უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა). მეორე საფეხური ცარიელი იყო, აი მესამეზე კი ალმაათელი დიონის ვოდნევი (217,5 ქულა) ავიდა, რომელმაც თავის სასპარტაკიადო ოქროს მედალს ახლა „ბრინჯაო“ მიუმატა.



ეს ფოტოსურათი დაჯილდოების ცერემონიალის დამთავრებისთანავე გადაღებული. საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრებმა, თანაგუნდელებმა, თაყვანისმცემლებმა ხელში აიტაცეს ქვეყნის VII სპარტაკიადის ახალი ჩემპიონი კახა წაქაძე.

ვასილი სიროტიაკის (სკოლე) ფოტო

უნდა გენახათ, რა ხდებოდა დაჯილდოების ცერემონიალზე. გადასცეს თუ არა კახას ოქროს მედლები (მეორე მან ქვეყნის ჩემპიონობისათვის მიიღო), მეგობრებმა, თაყვანისმცემლებმა ხელში აიტაცეს იგი და კარგა ხანს „აბურთავეს“ ტისოვეცის ცაში. ისევე როგორც ერთ დროს მამამისი — პირველი საკავშირო სპარტაკიადის (1962 წელი) ჩემპიონი, ისევე, როგორც მესამე სპარტაკიადის (1974 წელი) ჩემპიონი მიხეილ გავა. შეგახსენებთ, რომ ორივემ ბაკურიანში 70-მეტრიან ტრამპლინზე მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა, აი კახამ კი 90-მეტრიანზე აიღო „ოქრო“.

ვინ არ ულოცავდა ახალ ჩემპიონს, ვინ არ თხოვდა ინტერვიუს, ავტოგრაფს, ვინ იცის რამდენჯერ ჩაიჩხაკუნეს იმ დღეს უმცროსი წაქაძისაკენ მიმართულმა ფოტოაპარატებმა. მაგრამ ართმევდნენ ხელს სპეციალისტები კახას მწვრთნელებს — კობა წაქაძეს, ბეჟან ქუმარიტაშვილს, ზელიმხან თვაურს, ახალი ჩემპიონის პირველ მწვრთნელს.

...საქართველოს დროშა ფრიალებდა კარპატებში, ჩვენი ჰიმნის მელოდიაც ჩათავდა ეს-ესაა. უფროს წაქაძეს — ამ სახელგანთქმულ „მფრინავ ტორპედას“ — სიხარულის ცრემლი ჩაუდგა თვალებში. ინტერვიუს აღებაზე იმ წუთებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, სამაგიეროდ გულთბილად მივულოცეთ... წაქაძეების ოჯახის მეორე ჩემპიონის დაბადება.

— ხომ გითხარით, ტისოვეცში კახასათვის ჩამოვედი, მართლაც ღირდა ყოველივე ამ ერთი „ოქროს“ ნახტომისთვის! — შემოგვძახარა პაველ დემენტიევმა.

— მთელი ოთხი ათეული წელია ტრამპლინიდან ხტომასთან მაქვს საქმე, ასეთი ლამაზი ნახტომი კი არასოდეს მინახავს! ეს უკვე გარი ნაპალკოვის მწვრთნელის, ცნობილი გორკელი სპეციალისტის სერგეი სახარნოვის სიტყვები იყო.

მერე **ანატოლი ჟეგლანოვი** — ქვეყნის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი მოგვიახლოვდა:

— ბავშვობიდან ვადევნებ თვალს „პატარა კობას“. ჭკვიანი, შრომისმოყვარე სპორტსმენია. კარგი მებრძოლიც. მამასავით გაბედულად და ლამაზად ხტება. ეტყობა, მართლაც არსებობს გენები. ბაკურიანში მესამე სპარტაკიადის ჩემპიონი გავხდი 90-მეტრიან ტრამპლინზე. ეგებ ახლა, კახას ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, მაინც ალადგინონ თქვენი დიდი ტრამპლინი. ბაკურიანმა უნდა დაიბრუნოს დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, იქნებ მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპიც ჩატარდეს აქ.

**გარი ნაპალკოვი:**

— მიხარია, რომ საქართველოს მხტომელებს სპარტაკიადის მესამე ჩემპიონიც შეემატა — ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური „მფრინავი მოთხილამურე“ კახა წაქაძე. იგი თითქმის იდეალურად ხტება. აი ვისი ნახტომების კინოგრამა უნდა გადაიღონ სპეციალისტებმა.

**მიხეილ გავა** — III საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, VII სპარტაკიადის მსაჯი:

— კახას გამარჯვება ჩემთვის მოულოდნელი არ იყო, იგი კარგა ხანია ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში. სამწუხაროდ, გული დაგვწყვიტა ჩვენმა მეორე ნიჭიერმა მხტომელმა ელგუჯა ორჯონიკიძემ, რომელსაც ამ დღეს 22 წელი შეუსრულდა: ორი წლის წინ იგი ტისოვეცის სწორედ ამ ტრამპლინზე მეექვსე იყო ქვეყნის თასის გათამაშებაში. თუმცა იგი ახლა უკეთ ვერც გამოვიდოდა — წინადღის ოფიციალური ვარჯიშისას უხერხულად დაეცა და დაშავდა. მაინც გამოვიდა სტარტზე. გაგვაოცეს ალმაათელმა მხტომელებმა, რომლებმაც დიდი უპირატესობით მოიგეს გუნდური შეჯიბრება და ბოლოსდაბოლოს დაჯაბნეს წინა სპარტაკიადების ლაურეატები გორკელი და ლენინგრადელი მხტომელები. მართალია, საქართველოს გუნდი X ადგილზე გავიდა (წინა ორ სპარტაკიადაში შესაბამისად XIV და XI ვიყავით). მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაკრები კიდევ უკეთ უნდა გამოდიოდეს — მწვრთნელებიც კარგი გვყავს, მხტომელებიც და მომავალი თაობაც.

ტისოვეცი (ლვოვის ოლქი).



კახა ვახტანგიშვილი (მარცხნივ) და ლევან თიბილოვი.

ოთარ ნოზაძის ფოტო.

## შედარებისას წინსვლა უკეთ მოჩანს

| VI სპარტაკიადა 1986 წ. | | | VII სპარტაკიადა 1990 წ. | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
| 0 | 0 | 1 | 1 | 1(2) | 1(2) |

**შენიშვნა:** ფრჩხილებში მოყვანილია მედლების რაოდენობა, რომლებიც გადაეცათ წყვილების შეჯიბრებებში მოასპარეზე სპორტსმენებს ცალ-ცალკე.

**VI სპარტაკიადა**

| | ქულები | ადგილი |
|---|---|---|
| სამთო-სათხილამურო სპორტი | 19 | 14 |
| თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა | 77 | 11 |
| საციგაო სპორტი | 19 | 12 |
| ფიგურული ციგურაობა | 92 | 9 |

**VII სპარტაკიადა**

| | ქულები | ადგილი |
|---|---|---|
| სამთო-სათხილამურო სპორტი | 41 | * |
| თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა | 87 | 10 |
| საციგაო სპორტი | 189 | 8 |
| ფიგურული ციგურაობა (ვაჟები) | 89 | 6 |
| ფრისტაილი (მოგული, ვაჟები) | 46 | 8 |
| ნატურბანი | ჩატარდა მხოლოდ პირადი შეჯიბრება | |

* **შენიშვნა:** შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტის სამ სახეობაში ჯერ არ დამთავრებულა — იგი მოგვიანებით გაიმართება კიროვსკში.

# საქართველოს ვილნიუსი

**ჩანს,** ოდესღაც საკმაოდ კარგად რეკლამირებული საკავშირო სპარტაკიადები თანდათანობით კარგავს თავის დანიშნულებას, შინაარსს, ავტორიტეტს, ინტერესს. „საბჭოთა ოლიმპიადებს“ ახლა მხოლოდ, ასე ვთქვათ, ანგარიშის ჩასაბარებლად ატარებენ. ბევრგან მისი აფიშებიც არ იყო გამოკრული (კიევში, სიგულდაში), იმავე სიგულდაში არ მუშაობდა პრესცენტრი და ჟურნალისტები მასალის გადასაცემად.... ფოსტაში დარბოდნენ.

ასეა თუ ისე, სასპარტაკიადო სტარტები მაინც ჩატარდა, მასში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიც გამოდიოდნენ და, ცხადია, მკითხველს ამის შესახებ უნდა ვაუწყოთ.

**გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს საქართველოს უფროს მწვრთნელთან ფიგურულ ციგურაობაში, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელ ვალენტინა რეტივიხთან.**

— მიუხედავად იმისა, რომ სპარტაკიადის ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში საკმაოდ ულიმღამოდ, უინტერესოდ ჩატარდა, მაინც კმაყოფილი ვარ ჩვენი სპორტსმენებისა. კიევის სპორტის სასახლეში შეკრებილი სპეციალისტები მოწონებით შეხვდნენ საქართველოს ფიგურისტების გამოსვლას. და ეს მაშინ, როდესაც თბილისის საციგურაო (ამასთან, არასტანდარტული ზომისა) რემონტის გამო კარგა ხანს გაჩერებული იყო. ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ნაკრების ლიდერებს არა აქვთ სპორტული ფეხსაცმელი და, ასე განსაჯეთ, ძველი, პირგაცვეთილი ციგურებით ასპარეზობენ. გამოცდილი თბილისელი ანდრეი ტოროსიანის მოსკოვში გადასვლის შემდეგ (იგი ახლა ტატიანა ტარასოვას რევიუში გამოდის), მთელი სიმძიმე დააწვა ჩვენს ორ სპორტსმენს — ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტს ბესარიონ ცინცაძეს და ტექნიკური უნივერსიტეტის მესამეკურსელს ჯიზო ბლიაძეს. ორივენი 20-20 წლისანი არიან, სპორტსაზოგადოება „დინამოში“ აღიზარდნენ (სულ ახლახან ისინი „მართვემ“ შეიკედლა, ვინაიდან დინამოელებმა თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით უარი თქვეს სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე). აღსანიშნავია, რომ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნის გამო სპარტაკიადისთვის ისინი სულ ექვს თვეს ვარჯიშობდნენ, მიუხედავად ამისა, ორივე მოციგურავე ყველა ურთულეს ელემენტს, ნახტომს ფლობს. ბლიაძე უკვე სამნახევარ ნახტომსაც აკეთებს, ხოლო ცინცაძე ვარჯიშზე ოთხმაგ ნახტომს ამუშავებს! სხვათა შორის, ერთიც და მეორეც საუკეთესოდ გამოვიდა ერევანში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, სადაც ჩვენ ზაპოროჟიეს ორმოცდღიანი შეკრებიდან ჩავედით. სომხეთის დედაქალაქში ცინცაძე პირველი იყო, ბლიაძე კი — მეორე. ჩვენი ლიდერების ოსტატობა განსაკუთრებით დაიხვეწა ვილნიუსში გამართულ ორმოცდღიან შეკრებაზე. პირდაპირ უნდა ითქვას, ისეთი ნაყოფიერი შეკრება, როგორიც ლიტვის დედაქალაქ „ლიადას რუმასის“ ყინულის მოედანზე გავიარეთ, მანამდე არასოდეს გვქონია. სხვათა შორის, ამ საციგურაოს (სტანდარტული ზომის, 30X60 მეტრზე) მშენებლობა 1,5 მილიონი დაჯდა, იგი სპონსორების დახმარებით აიგო. ვილნიუსიდან (იქ ჩვენ... საქართველოს სპარტაკიადა ჩავატარეთ: ჩემპიონები გახდნენ ცინცაძე და ლია სამხარაძე) ხალხთა სპარტაკიადაზე გავემგზავრეთ კიევში. გზად კუიბიშევში „შევიარეთ“, სადაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოვედით რუსეთის ლია პირველობაში. ამ სტარტმა საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ სპარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...სასპარტაკიადო სტარტამდე მხოლოდ ორი დღე რჩებოდა, ციგა კი, ...მლითაც ვინ იცის რამდენჯერ გა მოსულა ჩვენი წყვილი, არა და არ ...ნდა. იგი სადღაც კალგარს, მაინის ფრანკფურტსა და მოსკოვს შორის ...იკარგა, როდესაც საქართველოს სპორტსმენები ბრუნდებოდნენ კანა...ში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატიდან. ყველას დაგვავიწყდა იქ ...პოვებული მერვე ადგილით გამოწვეული სიხარული. რას იზამდნენ, ...ვისგან ნათხოვარი ციგებით ვარჯიშობდნენ, თუმცა კარგად ახსოვდათ ...ობილი გამოთქმა „ნუ ჩაჯდები სხვის ციგაში“! ბოლოს ციგები ...ულ ნაკრების 8 ციგა დაიკარგა) მაინც იპოვნეს და სასწრაფოდ ჩა...ს თვითმფრინავით სიგულდაში. ახლა ამაზე საუბარი უკვე ად...ლია, მაგრამ გენახათ რა ნერვიულობა შეხვდათ ლევან თიბილოვს, კა...ვახტანგიშვილსა და მათ მწვრთნელს თამაზ ქუმარიტაშვილს.

# დაკარგული ციგა და...

...სტარტზე 24 ეკიპაჟი გამოვიდა. ...ეციალისტებს მიაჩნდათ, რომ მთა...რი ბრძოლა ოქროს მედლებისა...ვის მოსკოველებს იგორ ლობა...ვ-გენადი ბელიაკოვსა და ჩვე...ბს — თიბილოვ-ვახტანგიშვილს ...რის წარიმართებოდა. 1250-მე...რიანი ტრასა ყველაზე სწრაფად ...ვდაპირველად ჩვენმა წარმომადგენ...ბმა გაიარეს (ისინი ასკ-ის წევრე...არიან, უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლის ...სწავლეები). მეორე შედეგი ყველა...თვის მოულოდნელად აღმოაჩნდა ...რმელთა ახალგაზრდულ წყვილს ...ობერტ დემჩენკოსა და ალექსეი ...ლენსკის. ზოგიერთი უკვე ნაჩქა...ვად გვილოცავდა გამარჯვებას. ...მწუხაროდ, ტრასის მეორედ გა...ლისას ჩვენმა სპორტსმენებმა ბო...ო მონაკვეთზე შეცდომა დაუშ...ეს (შეეხენ ყინულოვანი ღარის კე...ლს), მართლაც რომ „ოქროს წა...ბი“ დაკარგეს და ორი ცდის ...ამში მეორე ადგილზე გავიდნენ. ...რმელთა დუეტმა კი კიდევ უფ...ო სწრაფად ჩაათავა ტრასა და ...ემპიონობა დაისაკუთრა. მესამე ...დეგი ჰქონდათ რიგელებს ივარს ...არნიკსსა და მარის კარკლინშსს.

ჩვენი სავარაუდო მთავარი მეტოქენი იგორ ლობანოვი და გენადი ბელიაკოვი მხოლოდ მეოთხენი იყვნენ.

სხვათა შორის, სიგულდაში კიდევ ერთმა სტარტმა მოუწია ქ. ვახტანგიშვილს, ამჯერად ერთადგილიანი ციგით. აქ სულ 35 სპორტსმენი გამოვიდა. ჩემპიონობა გამოცდილმა მოსკოველმა სპორტსმენმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა სერგეი დანილინმა მოიპოვა. ქ. ვახტანგიშვილი 26-ე იყო. ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი ზვიად გაგლოევი 31-ე ადგილზე გავიდა.

აი, რა გვითხრა შეჯიბრების დასრულს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ვერა ზოზულიამ (რიგა):**

— თავიდანვე მწამდა საქართველოს სპორტსმენთა წარმატებისა. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როდესაც მათ მშვენივრად გაიარეს პირველი ცდა და საუკეთესო დრო აჩვენეს, სამწუხაროდ, ტრასის მეორედ გავლისას ზედ ფინიშის წინ მათ მცირე შეცდომა დაუშვეს, რამაც ოქროს მედლები დააკარგვინა.

მსოფლიოს ექსჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **სერგეი დანილინი (მოსკოვი):**

— შესანიშნავი ყმაწვილებია, ამასთან, ცხადია, საუკეთესო სპორტსმენებიც. პირადად მე რამდენჯერმე მომიმზადებია შეჯიბრებისათვის მათი ციგა. მერწმუნეთ, მეც დამწყდა გული, რომ თქვენმა „დუეტმა“ ოქროს მედლის მაგიერ მხოლოდ „ვერცხლი“ წამოიღო სასპარტაკიადო სიგულდიდან. მაგრამ დიდი სტარტები ჯერ კიდევ წინაა...

ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსაურებული ოსტატი **ვალერი იაკუშინი (მოსკოვი):**

— ვიცი, რომ ციგების დაკარგვამ ძალზე იმოქმედა სპორტსმენებზე, განსაკუთრებით კი თქვენს ბიჭებზე. ამაში ბევრი დამეთანხმება. მაგრამ მათ მაინც ეყოთ ძალა დაეძლიათ მღელვარება და საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ასულიყვნენ. მტკიცედ მჯერა, რომ ვერცხლის მედლებს „ოქროც“ მოჰყვება. დასანანია მხოლოდ, რომ ამ შესანიშნავ წყვილს ბაკურიანში თავისი ტრასა არა აქვს. სულ სხვის ტრასებზე იარო, მართლაც მომქანცველია, პირველ ყოვლისა კი მორალურად. ასეა თუ ისე, მაინც მჯერა მათი, მჯერა თქვენი გუნდის გულმოდგინე მწვრთნელის, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ქართული საციგაო სპორტის პიონერის, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული, შესანიშნავი სპეციალისტის ლეკო ქუმარიტაშვილის ტრადიციებს, ისევე, როგორც ნატურბანში ლეკოს ვაჟი — ფელიქს ქუმარიტაშვილი.

**სიგულდა (ლატვია).**



**„ფრისტაილის** პირველი მერცხლები“ — ასე ვუწოდეთ ერთ-ერთ რეპორტაჟს სკოლედან რომ გადმოიცა ტელეფონით. მოგეხსენებათ, დებიუტანტის როლი საერთოდ და, მით უფრო, სპორტში. ძალიან ღელავდნენ პირველი სტარტის წინ ჩვენი მწვრთნელები. ცხადია, ადგილს ვერ პოულობდნენ, თვითონ სპორტსმენებიც. ხუმრობა ხომ არ იყო, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებთან უხდებოდათ ფაქტიურად პირველი დიდი შეჭიდება. ვაჟთა შეჯიბრების ერთ-ერთ სახეობაში მოგულში 21 მონაწილე დაუშვეს, მათ შორის ჩვენი სამი წარმომადგენელი იყო. ისინი ურიგოდ არ გამოსულან: ლაშა გავა მუთორმეტე ადგილზე გავიდა, აშოტ პაპიკიანი — მეცამეტეზე, კობა კოზანაშვილი — მეთვრამეტეზე. მათ 48 ქულა მოაგროვეს, რამაც საქართველოს ნაკრებს საშუალება მისცა ამ სახეობაში მესამე საპრიზო ადგილზე გასულიყო.

**საქართველოს ნაკრები ფრისტაილში. მარცხნიდან — კობა კოზანაშვილი, უფროსი მწვრთნელი სამველ ანდრიასიანი, აშოტ პაპიკიანი, ლაშა გავა და მწვრთნელი შოთა კოზანაშვილი.**

**ოთარ ნოზაძის ფოტო.**

# დაიწყო, მაგრამ... ვერ დამთავრდა

**ლვოვის** ოლქის პატარა დაბა სლავსკოეში შედგა სამთომოთხილამურეთა სასპარტაკიადო შეჯიბრება სპეციალურ სლალომში. ქალებში უძლიერესი იყო პერმელი გულნურ პოსტნიკოვა — 1.45,98. სამწუხაროდ, ბაკურიანელმა სოფიკო პეტროსიანმა ვერ დაამთავრა პირველივე ტრასა.

ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვა გამოცდილმა ლეონიდ მელნიკოვმა (მოსკოვის ოლქი) — 1.45,90. საქართველოს წარმომადგენელთაგან ...ვებზე უკეთ გამოვიდნენ სპორტის ოსტატი გია ორჯონიკიძე (1.58,84) და ოსტატობის კანდიდატი ლევან აბრამიშვილი (1.53,95), რომლებმაც შესაბამისად XV და XVI ადგილები დაიკავეს. სამწუხაროდ, იმედი ვერ გაგვიმართლა ჩვენმა სპორტის ოსტატმა ისმაილ კაჩკაროვმა, რომელმაც უძლიერესთა ჯგუფში აიღო სტარტი. იგი გამოეთიშა ბრძოლას მეორე ცდაზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სპორტსმენი უკეთ უფრო სხვა სახეობებში გამოდის — სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში. აქ მეტს ველით ორჯონიკიძესა და აბრამიშვილისაგანაც.

უთოვლობის გამო სასპარტაკიადო შეჯიბრებები სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში გადატანილია აპრილისათვის და კიროვსკში გაიმართება.

**სლავსკოე (ლვოვის ოლქი).**

...კიადისათვის მზად ვართ. კიევის ...ორტის სასახლეში თავი მოიყარა ...ვაჟმა. ორიგინალური პროგრამის ...მდეგ 20 მოციგურავე დაუშვეს, ...თ შორის ჩვენი ორივე სპორტსმე...ს სპარტაკიადაზე ჩასათვლელ ქუ...ებს 1-12 ადგილები იძლეოდა. ...თ სასახელოდ, ორივემ შეას...ულა ამოცანა: ცინცაძე მე-11 ად...ილზე გავიდა, ბლიაძე — მე-12-ზე. ...ასთან, მათ მშვენიერი კოსტუმე...ც ეცვათ. ცინცაძე, მაგალითად, წი...ლი ჩოხით გამოდიოდა, ვიქტორ ...ოლიძის „ქეთო და კოტეს“ პოპუ...არულ მოტივზე „ცეკვავდა“. ყვე...ას მოეწონა მათი გამოსვლა. ...ინცაძემ და ბლიაძემ რესპუბლიკის ...კრებს ჯამში 39 ქულა მოუტანეს. ... მეექვსე გუნდური ადგილი იყო ...2 კოლექტივს შორის. ცხადია, ჩვენ ...ომ ვაჟთა გარდა ქალები, წყვილე...ი და მოცეკვავეები გვყოლოდა, ...უნდური შედეგი უკეთესი იქნებო...ა. ახლა კი გვაჯობა ხუთმა გუნდ...მა: ლენინგრადმა, უკრაინამ, მოს...ოვმა, რუსეთმა და ბელორუსიამ. ...ხადია, ყველა მათგანს (და არა ...რტო მათ) თანამედროვე, სტანდა...რტული ზომების საციგურაო აქვს. ...ვე უნდა ითქვას, რომ კიევის ...ციგურაო...ზე ცინცაძემ შეასრულა

# ...სპარტაკიადა... ...ყინულზე

...სტატობის ნორმატივი, აი, ბლიაძემ ... ორიგინალური პროგრამის შეს...რულებისას მცირე შეცდომა დაუშ...ა, რისთვისაც მსაჯები ჩვეულებ...ივ 0,2 ქულას აკლებენ სპორტ...მენს. რაოდენ დიდი იყო ჩვენი გა...ცება, როდესაც არბიტრებმა ბლი...ძეს (იგი არ დავარდნილა და ...რც ყინულს შეხებია ხელით) მთე...ლი 0,5 ქულა „ჩამოაჭრეს“ და ფაქ...ტიურად დააკარგვინეს ოსტატის ...ოდება. არადა, ნებისმიერი პროგ...რამით ასპარეზისას მან ოსტატის ...დონეზე იხრიალა. სხვათა შორის, ...ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა ვი...დეოფირზე გადავიღეთ. შეჯიბრების ...დამთავრების შემდეგ მივმართეთ ...მსაჯთა კოლეგიას, ენახათ ვიდეოჩა...ნაწერი, მაგრამ უარი მივიღეთ.

...ახლა ქართველი მოციგურავე...ები ...მზადებიან მოსკოვისა (23-27 ...მარტი) და უკრაინის (ოდესა, 12-17 ...აპრილი) ღია ჩემპიონატებში მონა...წილეობისათვის. ჩვენს ვაჟებთან ერ...თად გამოვა ლია სამხარაძეც, რო...მელმაც, სამწუხაროდ, საკავშირო ...სპარტაკიადაში ტრავმის გამო ვერ ...მიიღო მონაწილეობა.

# მედალი კასატურის მთიდან

**ნატურბანში** (საციგაო სპორტი ბუნებრივ ტრასაზე) ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ფელიქს ქუმარიტაშვილმა ზლატოუსტში (ჩელიაბინსკის ოლქი) გამგზავრების წინ დაბეჯითებით გვითხრა, რომ ორადგილიანი ციგების შეჯიბრებაში ჩვენი წარმომადგენლები ერთ-ერთ მედალს მოიპოვებდნენ. გამოცდილი სპეციალისტის ვარაუდი გამართლდა. ბაკურიანელმა მოსწავლეებმა, სპორტის ოსტატებმა თენგიზ აკოფოვმა და ზაზა ჯიჩოევმა („მართვე“, უმაღლესი სპორტული ოსტატების რესპუბლიკური სკოლა) ქვეყნის უძლიერესებთან ჭიდილში ზლატოუსტის კასატურის მთაზე საპატიო მესამე ადგილი მოიპოვეს და სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალთან ერთად ქვეყნის ჩემპიონატის „ბრინჯაოც“ დაისაკუთრეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა წყვილმა მომავალ ჩემპიონებთან — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებთან ვიქტორ კალინინთან და ოლეგ ბურლაკასთან (მოსკოვის ოლქი) — პირველ ცდაზე მხოლოდ 25 მეასედი წამი წააგეს — 1.06,60. მეორე ცდაზე მათ 1.07,02 აჩვენეს და მესამე ადგილზე გავიდნენ — 2.13,62. ეს საქართველოს ნატურბანისტთა მნიშვნელოვანი წარმატებაა. თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ ისინი სულ სამი წელია მისდევენ სპორტის ამ საინტერესო სახეობას და 16-17 წლისანი არიან, მათგან შემდგომში უფრო დიდ წარმატებებს უნდა ველოდეთ.

იქვე, ერთეულთა შეჯიბრებაზე გაგვახარა პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ბადრი ჯანგობეგოვმა („მართვე“). იგი სამი ცდის ჯამში მეხუთე ადგილზე გავიდა — 3.14,79 და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. პირველობა გამოცდილმა მოსკოველმა მაქსიმ კრასნოკუტსკიმ მოიპოვა — 3.09,07. ამავე სახეობაში მეჩვიდმეტე იყო თ. აკოფოვი (3.21,38), ხოლო ოცდამეხუთე — ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი ზაზა ჯანგობეგოვი (3.41,10), რომლისთვისაც ეს სტარტი ფაქტიურად დებიუტს წარმოადგენდა.

— სასპარტაკიადო შედეგებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, — გვითხრა ფ. ქუმარიტაშვილმა, — გული მწყდება მხოლოდ, რომ ზლატოუსტის ტრასებზე ვერ გამოვიდა ჩვენი გუნდის ლიდერი ედვარდ ყოროშვილი, რომელმაც, როგორც იცით, სეზონის დასაწყისში მძიმე ტრავმა მიიღო ბრატსკში ქვეყნის თასის გათამაშებისათვის მზადებისას.

ახლა საქართველოს სპორტსმენები ემზადებიან საერთაშორისო ტურნირ „ჩრდილოეთის ზეიმისათვის“, რომელიც მურმანსკის ოლქის ქალაქ კანდალაკშაში 22-26 მარტს გაიმართება.

აქვე დავძენთ, რომ მაისში განზრახულია ბორჯომსა და მისი რაიონის სოფლებში გავმართოთ ჩვენი უძლიერესი სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლები გორგოლაჭებიანი ციგებით, რათა მივიზიდოთ ნიჭიერი ახალგაზრდობა ნატურბანში.

**ზლატოუსტი (ჩელიაბინსკის ოლქი).**

* * *

**მარცხნიდან — ზაზა ჯიჩოევი, თენგიზ აკოფოვი და მწვრთნელი ფელიქს ქუმარიტაშვილი.**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



# წინსვლა შესამჩნევია



**გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის ზამთრის სახეობათა განყოფილების უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ფერბენქს ნავერიანი.**

● **შარშან, წლის მიწურულში, ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადებისას „ლელოში“ დაიბეჭდა თქვენი ინტერვიუ. მაშინ მოკლედ მიმოიხილეთ ზამთრის სპორტის ექვსივე სახეობა, რომლებშიც სტარტი ელოდათ საქართველოს სპორტსმენებს, გამოთქვით სავარაუდო მოსაზრებანი, გააკეთეთ პროგნოზები. რამდენად გამართლდა ისინი და საერთოდ როგორ უნდა შევაფასოთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლა ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადაზე?**

— დიახ, საკავშირო სპარტაკიადის თოთხმეტი სახეობიდან ექვსში ვიასპარეზეთ. შეგვეძლო, ცხადია, მოგვესინჯა ძალა სათხილამურო რბოლებსა და ორჭიდში, რომლებშიც ადრე ერთგვარი ტრადიცია გვქონდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ სახეობებში ახლა ვერ გავუწევდით სათანადო მეტოქეობას სხვა გუნდებს და ამიტომ უარი ვთქვით ნაკრებთა გამოყვანაზე.

ყველაზე მეტად კმაყოფილნი ვართ მხტომელ მოთხილამურეთა, მოციგავეთა და ნატურბანში დებიუტანტთა გამოსვლით.

კიდევ ერთ ახალ სახეობაში, ფრისტაილში, გაიარეს ჩვენმა სპორტსმენებმა სასპარტაკიადო გამოცდა. შეიძლება ითქვას, მათ წარმატებით გაართვეს თავი ამოცანას და მის ერთ-ერთ სახეობაში მოგულში მესამე გუნდური შედეგი აჩვენეს. ახლო მომავალში, ვფიქრობთ, განვავითაროთ ფრისტაილის სხვა სახეობებიც — სათხილამურო აკრობატიკა და ბალეტი, მითუმეტეს, რომ დარწმუნებული ვართ, ისინი ქართულ ხასიათს ესადაგება.

წინსვლის ნაბიჯები საგრძნობია, მაგრამ მას განმტკიცება ესაჭიროება. ამ რწმენას საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობის მიზანმიმართული მუშაობა გვისახავს. ჩვენში სპორტის ზამთრის სახეობებმა მყარად უნდა მოიკიდოს ფეხი და საქართველო მსოფლიოს „თეთრ მარგალიტებს“ შორის ერთ-ერთ გამორჩეულ სპორტულ ცენტრად უნდა იქცეს. სწორედ აქეთკენ სწრაფვის დასტური იყო ის, რომ ბაკურიანი 1998 წლის ზამთრის „თეთრი ოლიმპიადის“ მასპინძლის კანდიდატად წამოვაყენეთ. საკავშირო კონკურსის უცნაური შედეგი მკითხველმა იცის და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ მოწოდება საკუთარი ძალებით და სახსრებით გავაშენოთ და დავამშვენოთ ბაკურიანი, რეალობად უნდა ვაქციოთ. ჩვენსავე საუნჯეს, როგორც ჩანს, ჩვენვე უნდა მივხედოთ და აქ კვლავ და კვლავ საზოგადოებრიობის მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

**მასალები მოამზადა „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადაზე ოთარ ნოზაძემ.**

# რეზერვების სამჭედლო

(დასასრული)

**75 კგ.** 1. ბაკურ ერაშვილი (კასპი), 2. ირაკლი უზნაძე (თბილისი), 3. კობა გველესიანი (ლენტეხი) და არმენ ბაღდასარიანი (ტაშკენტი).

**88 კგ.** 1. გიორგი გავარდაშვილი (ახმეტა), 2. რუკას გინტარისი (კაუნასი), 3. ბესიკ ზაკუტაშვილი (ქარელი) და სვენ ჰალბინგი (გდრ).

**90 კგ.** 1. ვეფხია ავალიანი (რუსთავი), 2. ვალერი კიბორძალიძე (ქუთაისი), 3. კახა გუჯეჯიანი (მარნეული) და ოლეგ დიაგილევი (ჩელიაბინსკი).

**+90 კგ.** 1. შალვა ბექაური (თბილისი), 2. დავით ჭელიძე (დუშეთი), 3. მამუკა ოდიშელიძე (თბილისი) და რომან უძილაური (ახმეტა).

როგორც ამ სიიდან ჩანს, ბოლო ტურნირში საქართველოს ძიუდოისტებს ყველაზე მეტი საპრიზო ადგილები აქვთ მოპოვებული. მედლები ნაკრებ გუნდებს შორის ამჯერად ასე განაწილდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| **საქართველო** | 8 | 5 | 11 |
| **სსრ კავშირი** | 1 | 4 | 4 |
| **გდრ** | — | — | 3 |

ტურნირის პრიზიორთა შორის საქართველოს 11 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები მოხვდნენ. ვნახოთ, როგორ განაწილდა მედლები ქალაქებს შორის:

| | | | |
|---|---|---|---|
| **თბილისი** | 2 | 2 | 5 |
| **ახმეტა** | 3 | — | 1 |
| **რუსთავი** | 1 | 1 | — |
| **გორი** | 1 | — | — |
| **კასპი** | 1 | — | — |
| **ბაქო** | 1 | — | — |
| **ერევანი** | — | 1 | — |
| **კურსკი** | — | 1 | — |
| **მინსკი** | — | 1 | — |
| **კაუნასი** | — | 1 | — |
| **ქუთაისი** | — | 1 | — |
| **დუშეთი** | — | 1 | — |
| **გდრ** | — | — | 3 |
| **ქარელი** | — | — | 2 |
| **საგარეჯო** | — | — | 1 |
| **ალმა-ათა** | — | — | 1 |
| **ორჯონიკიძე** | — | — | 1 |
| **ლენტეხი** | — | — | 1 |
| **ტაშკენტი** | — | — | 1 |
| **მარნეული** | — | — | 1 |
| **ჩელიაბინსკი** | — | — | 1 |

# სამი დღე სპორტის სასახლეში

**ანზორ კიკნაძის** მემორიალში სასპარეზოდ თბილისს უკვე ესტუმრნენ ბულგარეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, გფრ-ის, გდრ-ის, თურქეთისა და პოლონეთის ნორჩი ძიუდოისტები. მასპინძელთაგან ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 105 ათლეტი. კიდევ უფრო მძლავრი ჯგუფით არის წარმოდგენილი შეჯიბრებაში სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც სარბიელზე 200-მდე მოჭიდავეს გამოიყვანს.

ტურნირის განრიგი ასეთია:

**23 მარტი**

**გოგონები:** იასპარეზებენ 39, 42, 45 და 48 კგ წონით კატეგორიებში

**ჭაბუკები:** — 49, 53 და 57 კგ წონებში.

**24 მარტი**

**გოგონები:** 54, 57, 61 კგ. წონებში

**ჭაბუკები:** 62, 68 და 75 კგ წონებში

**25 მარტი**

**გოგონები:** 65, 70, 75 და მძიმე წონებში

**ჭაბუკები:** 83, 90 და მძიმე წონებში.

**დასაწყისი** 10 და 18 საათი.

ტურნირის საზეიმო გახსნა მოეწყობა 23 მარტს 16 საათზე.

22 მარტს 18 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში დანიშნულია პრესკონფერენცია.

# სანუკვარი და ერთადერთი

არ შეიძლება განსხვავებული აზრი არსებობდეს იმის შესახებ, რომ სუვერენული საქართველოს უპირველესი საფეხბურთო გუნდი ეროვნული გენისა და ხასიათისა უნდა იყოს, როგორც შინაარსობრივად (სათამაშო კონცეფციით), ასევე ფორმითაც (მოხდენილი სახელწოდებით და ეკიპირებით).

სავსებით დროულად და უცილობლად მიგვაჩნია და მთლიანად ვეთანხმებით წინადადებას, რომ ჩვენი საყვარელი საფეხბურთო გუნდი ახალი სეზონის დაწყებისთანავე ვიხილოთ თეთრი გეტრებით, შავი ტრუსებით, შინდისფერი მაისურებით და უძველესი ქართული ორნამენტით ბორჯღალით, რასაკვირველია, შესაბამისი ქართული წარწერით: „იბერია“ (ან „ივერია“), რაც უპირველესად გუნდის წევრ ფეხბურთელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათ სათანადო მობილიზებასა და ასევე გულშემატკივართა კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს!

ღრმად ვართ დარწმუნებული: სუვერენული საქართველოს უპირველესი საფეხბურთო გუნდის ისტორია მუდმივგანვითარებადია, იგი შინაარსობრივ უმდიდრესი და ამავე დროს ხალხის, ერის ისტორიის შესატყვისი უნდა იყოს. ერის სულით ერთობას უნდა უწყობდეს ხელს! ამიტომ ყოვლად მიუღებელია 20-30-იან წლებში დამკვიდრებული სახელწოდება — თარგი „დინამო“, რომელიც იმთავითვე თითქმის საყოველთაო გახდა მრავალი გუნდისათვის.

ჩვენი საყვარელი, სამამულო გუნდის სახელწოდების განმსაზღვრელად ეროვნული სულისკვეთება, ჯიში და ღირსება უნდა ფიგურირებდეს, და არა მოყირჭებული შაბლონი! უნდა ითქვას: ვინც ამას ვერ გრძნობს, ნებით თუ ენებლიეთ ცოდვას სჩადის ხალხისა და ერის წინაშე! ამიტომაც, უნდა მოგვცენ საშუალება ჩვენი საყვარელი ეროვნული გუნდისადმი სანუკვარი შეძახილით თანადგომისა და თავდადებული გულშემატკივრობის გამოხატვისა, მითუმეტეს, რომ ვეკუთვნით ქართველი ხალხის ისტორიის თანაზიარ ისეთ სამამულე დვრიტას, როგორიცაა: „ი-ბე-რი-ა!“

მაშ ასე, საფეხბურთო სეზონი კარს მოგვადგა, ნუ დავაყოვნებთ! ამას ხომ დიდი ხანია ელიან ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრები. დიახ, ელიან, ელიან, და მერე როგორ!!! ელიან და იმედოვნებენ!!!

და კიდევ ერთი: ალბათ უმჯობესია „იბერიამ“ „იბერიის“ სტადიონზე ითამაშოს.

**თ. თურმანიძე** — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; **გ. ნებიერიძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გ. სიხარულიძე** — რესპუბლიკის სახალხო არტისტი; **ტ. სულაბერიძე** — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **ალ. ფოცხიშვილი** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **არჩ. ჩხეიძე** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ვ. ცაავა** — ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი... სულ 212 ხელმოწერა.

# დახმარებას „შევარდენიც“ ელის

საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატის სიძნელეები პირველ რიგში, დაკავშირებული იქნება ფინანსურ მხარესთან.

როგორც ცნობილია, ეროვნულ ჩემპიონატში დედაქალაქი ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი. ქართული ფეხბურთის ფლაგმან თბილისის ყოფილ „დინამოს“ მხარში ამოუდგება „შევარდენიც“, რომელსაც დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანება შეფობს. სამწუხაროდ, „იბერიას“ ჩრდილში მყოფი „შევარდენი“ მხოლოდ შეფის იმედით ცოცხლობს. საავიაციო საწარმოო გაერთიანებას კი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, უჭირს უზრუნველყოს გუნდი ფინანსურად, მოამზადოს სტადიონი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე და სხვა.

ამ დღეებში გაზეთმა „ლელომ“ გამოაქვეყნა საქსახმომარაგების რესპუბლიკური გაერთიანება „საქნაირბითუმვაჭრობის“ კოლექტივის ჭეშმარიტად მამულიშვილური ქმედობა, რომელმაც 100 ათასი მანეთი გადაურიცხა „იბერიას“. „შევარდენი“ არ აცხადებს პრეტენზიას ასეთ სოლიდურ დახმარებაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, საქარხნო და 26 კომისრის სახელობის რაიონების უამრავ სამრეწველო საწარმოებსა თუ ობიექტებს არ უნდა გაუჭირდეთ მცირეოდენი წვლილის გაღება „შევარდენის“ დასახმარებლად.

ვინ ამოუდგება გუნდს მხარში? ველით გამოხმაურებას.

**სპორტკლუბი „შევარდენი“.**

## ჩემპიონთა თასი

**გუშინ** დნეპროპეტროვსკში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „დნეპრმა“ უმასპინძლა ლისაბონის „ბენფიკას“ (პორტუგალია), ამ გუნდების პირველი შეხვედრა, როგორც იცით, დამთავრდა „ბენფიკის“ გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

მეორე მატჩი მოიგეს პორტუგალიელებმა — 3:0.

გათამაშების ნახევარფინალში გავიდა „ბენფიკა“.

## სსრ კავშირის თასზე

**20 მარტს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მორიგი 8 შეხვედრა.**

მოსკოვის გუნდების „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ შეხვედრა დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით — 2:0. ხარკოვის „მეტალისტმა“ საკუთარ მინდორზე ანგარიშით 0:1 წააგო კიევის „დინამოსთან“. მინსკისა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, დამატებითმა 11-მეტრიანებმა გამარჯვება მოსკოველებს მოუტანა — 5:4.

წინა დღით ცსკა-მ თავის დახურულ კომპლექსში ანგარიშით 3:1 დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“.

17 აპრილს ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი) — ცსკა.

## ექიმ მარტენსის ცნობით

ცნობილმა ბელგიელმა ექიმმა მარკ მარტენსმა, რომელმაც დეკემბერში რუუდ გულიტს მუხლის მესამე ოპერაცია გაუკეთა, განაცხადა, რომ გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის. გულიტმა თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში პირველი მსუბუქი ვარჯიშები ჩაატარა.



# მორიგი ტურის მატჩები

**გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე მატჩი.**

**ალმა-ათა.** თბილისის დინამოელებს გასვლითი შეხვედრები ჰქონდათ ყაზახეთის დედაქალაქში. ორივე მატჩი მასპინძლების — ადგილობრივი არმიელების გამარჯვებით დამთავრდა — 93:68 (37:28) და 110:57 (44:27).

**ტალინი.** „კალევმა“ დაამარცხა რიგის ვეფ-ი 102:79 (44:37).

**ლენინგრადი.** პირველი შეხვედრა „სპარტაკმა“, როგორც ვიუწყებოდით, მოუგო მოსკოვის „დინამოს“. განმეორებით მატჩში მასპინძლები დამარცხდნენ — 71:75 (32:31).

**კიევი.** სსრ კავშირის ჩემპიონი „ბუდიველნიკი“ მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებს მასპინძლობდა. გაიმარჯვეს უკრაინელმა სპორტსმენებმა 111:91 (53:47).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 21 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 40 | 30 | 10 | 70 |
| ცსკა | 35 | 30 | 5 | 65 |
| „კალევი“ (ტალ.) | 39 | 26 | 13 | 65 |
| ვეფ (რიგა) | 40 | 23 | 17 | 63 |
| „ბუდიველ.“ (კ.) | 37 | 24 | 13 | 61 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 40 | 19 | 21 | 59 |
| ასკ (ალმა-ათა) | 35 | 21 | 14 | 56 |
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 37 | 17 | 20 | 54 |
| რტი (მინსკი) | 41 | 12 | 29 | 53 |
| „დინ.“ (თბ.) | 40 | 12 | 28 | 52 |
| „შახტ.“ (დონ.) | 40 | 12 | 28 | 52 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 40 | 6 | 34 | 46 |

**შენიშვნა:** არ შედგა დონეცკის „შახტიორისა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ მატჩი. ვინაიდან „ჟალგირისმა“ უარი განაცხადა საკავშირო ჩემპიონატში თამაშზე, მას წაგება ჩაეთვალა.

## „სპორტპროგნოზი“

**მე-11 ტირაჟის შედეგები (16-18 მარტი)**

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—2, 8—1, 9—2, 10—X; 11—2, 12—1, 13—X.

**შენიშვნები:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ვილნიუსის „ჟალგირისმა“ უარი განაცხადა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, მე-4 წყვილის შედეგი („ჟალგირისი“ ვილნიუსი — „დინამო“ მოსკოვი) განისაზღვრა წილისყრით.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე**

## ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

### „ბარსელონა“ ერთპიროვნული ლიდერია

**გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი, XII ტურის მატჩები.**

ცენტრალური შეხვედრა შედგა ბარსელონაში, სადაც ამ სახელწოდების გუნდმა დაამარცხა იტალიის „ფილიპსი“ 97:85. საინტერესოა აღინიშნოს, რომ წარმატებას ესპანელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს მეორე ტაიმში, თორემ პირველმა ოცმა წუთმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 49:49.

ლიდერთა ჯგუფის სხვა ორმა წარმომადგენელმა, იუგოსლავიის „იუგოპლასტიკამ“ და საფრანგეთის „ლიმოჟმა“ შეხვედრები მოიგეს სტუმრად. პირველმა აჯობა ისრაელის „მაკაბის“ (ტელ-ავივი) — 93:87 (52:57), მეორემ — პოლონეთის „ლეხს“ — 118:91.

სტუმრად მოიგო მატჩი საბერძნეთის „არისმაც“, რომელმაც დაამარცხა ჰოლანდიის „კომოდორე“ — 99:72 (51:28).

თორმეტი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 12 | 22 |
| „იუგოპლასტიკა“ | 12 | 21 |
| „ლიმოჟი“ | 12 | 21 |
| „არისი“ | 12 | 20 |
| „ფილიპსი“ | 12 | 18 |
| „მაკაბი“ | 12 | 17 |
| „კომოდორე“ | 12 | 13 |
| „ლეხი“ | 12 | 12 |

**კორაჩის** თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები დამთავრდა ასე: „სკავოლინი“ (პეზარო, იტალია) — ცსკა (მოსკოვი, სსრკ) 89:90 და 107:94 (57:32), „ხუვენტუდი“ (ბადალონა, ესპანეთი) — „ბოსნა“ (სარაევო, იუგოსლავია) 90:90 და 94:72 (48:39).

ამგვარად, ფინალურ მატჩებში შეხვდებიან „სკავოლინი“ და „ხუვენტუდი“.

საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის რესპუბლიკური ექსპერიმენტული სპორტულ-მეთოდური საწარმოო გაერთიანების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაერთიანების სარეზერვო განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, სსრკ სპორტის ოსტატი

**რეზო (ზერო) გიორგის ძე ჯარაშნელი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტსახკომი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს თენგიზ გაჩეჩილაძეს მამის

**თომა ლავრენტის ძე გაჩეჩილაძის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-53, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „ბერიკა“ — 93-97-26, „ბახტ...“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08748